Environment and Society, N2, December, 2020, pp. 115-127

დიქტატურის ლიტერატურული განზომილებები ნაციონალურ და გლობალურ ჭრილში1

ნინო პოპიაშვილი[2]

ფილოლოგიის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი

დიქტატურა, ტოტალიტარიზმი, ავტოკრატია, როგორც პარალელური ცნებები და სინონიმები გამოიყენება ნაციონალურ და გლობალურ კონტექსტებში. პოლიტიკური ძალაუფლების შეუზღუდავობა ქმნის განსაკუთრებულ რეჟიმს, სადაც ერთი ადამიანი, ძალა, მმართველი, სრულად აკონტროლებს ვითარებას, ქმნის კანონებს და ამკვიდრებს წესებს, რომლებიც ხელს უწყობს ერთპიროვნულ მმართველობას. უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა ქვეყნის ნაციონალური ავტორიტარიზმი ამჟღავნებს საერთო მოდელის ნიშნებს. დიქტატურის ლეგიტიმაციის უმთავრესი იარაღი იყო პოლარიზებული იდეოლოგია, რომელიც წარსულის, აწმყოსა და მომავლის ურთიერთკავშირში აყალიბებს საერთო ხედვას (ჰ. არენდტი, ტოტალიტარიზმის საფუძვლები).

დიქტატორული რეჟიმები მე-20 საუკუნეში ხასიათდება იდეოლოგიზირებული გარემოთი, სადაც განათლებაც ერთიან იდეოლოგიას უკავშირდება, მასობრივი პროპაგანდა, მასობრივი ტერორი, მასობრივი რეპრესიები, ცენზურა, სრული კონტროლი და შეუზღუდავი ძალაუფლება დიქტატურის საერთო მახასიათებლებია.

კარლ ფრიდრიხი და ზბიგნევ ბზეჟინსკი საბჭოთა და ფაშისტურ ტოტალიტარიზმზე დაკვირვებით აყალიბებენ ექვს საერთო ნიშანს, ტოტალიტარულ ტიპოლოგიას, რომელიც გამოიყენება ტოტალიტარიზმის განსაზღვრებისას:

1. წამყვანი იდეოლოგიის შემუშავება;

[1] კვლევა განხორციელდა "შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით [#DI-18-965]“

[2] *nino.popiashvili@tsu.ge*

2. ერთი მასობრივი პარტია, რომელსაც მართავს დიქტატორი;
3. ტერორი, რომელიც იმართება საიდუმლო პოლიციის მიერ;
4. იარაღზე მონოპოლია;
5. კომუნიკაციაზე მონოპოლია;
6. ეკონომიკის კონტროლი.

აღნიშნული მახასიათებლები მე-20 საუკუნეში გამოვლენილი დიქტატორული მმართველობის ძირითადი ნიშნებია.

საკვანძო სიტყვები: დიქტატურა, ავტორიტარიზმი, ტოტალიტარიზმი, მხატვრული ლიტერატურა

Abstract

Dictatorship, totalitarianism, autocracy, as parallel concepts and synonyms are used both at the global and national levels. It should be noted that the national totalitarianism of different countries reveals signs of a common model (H. Arendt).

A point of our interest is the presentation of global and national aspects of dictatorship from the perspective of fiction based on the methods of comparative research. For the analysis, we took a totalitarian narrative and two novels of two small nations, Georgia and the Dominican Republic, - "Oh World (Kakhetian Chronicles)" by Georgian writer and director, national award winner, Zaira Arsenishvili, and "The Feast of the Goast" by Peruvian writer, Nobel Prize Winner, Mario Vargas Liosa. Both novels describe the era of dictatorship and mass terror. The development of action and the historical era in the novels coincide with each other. The period of the Soviet leader, Stalin's and the dictator of the Dominican Republic, Rafael Leonidas Trujillo's regime begins from the 30s of the 20th century and continues in the case of Stalin - until 1953, and in the case of Trujillo - until 1952 as the first person of the state, and as an influential person - until 1961.

The central characters of the novels, girls, are trying to avoid direct persecution through forced migration. In one case, internal, and in the other, external migration serves the same goal - to

survive. Both works mark out common signs of totalitarianism, which include gender aspects; demonstration of the narrator's, main character's life full of tragedies; characteristics of dictatorship; characteristic features of dictatorship, etc. Dictatorship is a source of important observations from a literary perspective.

Key words: Dictatorship, autocracy, totalitarianism, literature

დიქტატურის ლიტერატურული პერსპექტივა

მხატვრული ლიტერატურა, როგორც რეალობის რეცეფცია და მხატვრული გარდასახვა, ასახავს და წარმოაჩენს დიქტატურისა და ტოტალიტარიზმის თავისებურებებს. მრავალ განზომილებაში გვაჩვენებს იმ მოვლენებსა და საკითხებს, რომლებსაც ნაციონალურ და გლობალურ კონტექსტებში ენიჭება მნიშვნელობა.

აღსანიშნავია, რომ ძირითადად ადარებენ ნაცისტურ/ფაშისტურ და საბჭოთა ტოტალიტარიზმს, თუმცა მნიშვნელოვანია სხვა ქვეყნების დიქტქატურაზე დაკვირვება სხვადასხვა ასპექტით, მათ შორის, მხატვრული ლიტერატურის პერსპექტივიდან. დიქტატურა, ტოტალიტარიზმი, სწორედ ლიტერატურას, კულტურას იყენებდა იდეოლოგიის პროპაგანდის საშუალებად. „კულტურის, ხელოვნების ყველა დარგი ტოტალიტარული იდეოლოგიისათვის თანაბრად გამოსაყენებელია, თუმცა შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ვერბალურ ხელოვნებაში — მხატვრულ ლიტერატურაში, კრიტიკაში, პუბლიცისტიკაში — მისი ლოგიკურ-ანალიტიკური და, მეორე მხრივ, ემოციურ-მეტაფორული შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ყველაზე თანმიმდევრულად მოხდა ტოტალიტარული იდეოლოგიური მართვით-სააზროვნო სისტემის გადმოცემა და განვითარება“ (წიფურია 2010, გვ. 179). ამასთან, ლიტერატურის თვისობრიობა თავის თავში მოიცავს რეალობის მხატვრულ და კონცეპტუალურ რეფლექსიას. „კონტექსტი, რომლის წიაღშიც ყალიბდება მხატვრული ტექსტი, ყოველთვის პოულობს ასახვას ამავე ტექსტის აზრობრივ თუ გამომსახველობით შრეებში. თუკი გავითვალისწინებთ ლიტერატურის თანდაყოლილ სწრაფვას ინტელექტუალური და რეპრეზენტაციული თავისუფლებისაკენ, ცხადად შეიძლება წარმოვიდგინოთ

ის წინააღმდეგობა, რომელიც, ტოტალიტარული რეჟიმების პირობებში იქმნება მხატვრულ ტექსტსა და რეალურ კონტექსტს შორის“ (რატიანი 2010, გვ. 13).

ჩვენი ინტერესის საგანია კომპარატივისტული კვლევის მეთოდებზე დაყრდნობით დიქტატურის გლობალური და ნაციონალური ასპექტების წარმოჩენა მხატვრული ლიტერატურის პერსპექტივიდან. საანალიზოდ ავიღეთ ორი მცირე ერის, საქართველოსა და დომენიკის რესპუბლიკის დიქტატორული ნარატივი და ორი რომანი - ქართველი მწერლისა და რეჟისორის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, ზაირა არსენიშვილის „ვა სოფელო (კახური ქრონიკები)“ და პერუელი ნობელიანტი მწერლის, მარიო ვარგას ლიოსას „ვაცის ნადიმი“. ორივე რომანში აღწერილია დიქტატურა და მასობრივი ტერორი. მოქმედების განვითარება და ისტორიული ეპოქა რომანებში ემთხვევა ერთმანეთს. საბჭოთა ბელადის, სტალინის (იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილის) და დომენიკელთა რესპუბლიკის დიქტატორის, რაფაელ ლეონიდას ტრუხილიოს მმართველობის პერიოდი მე-20 საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყება და მიმდინარეობს სტალინის შემთხვევაში 1953, ხოლო ტრუხილიოს შემთხვევაში - 1952 წლამდე, როგორც სახელმწიფოს პირველი პირის, ხოლო როგორც გავლენების მქონე ადამიანისა - 1961 წლამდე.

მარიოს ვარგას ლიოსას “ვაცის ნადიმსა“ და ზაირა არსენიშვილის რომანს, „ვა სოფელო“-ს შორის შესაძლებელია გამოიყოს საერთო ნიშნები:

- ორივე ნაწარმოები მარკირებულია ქალი პერსონაჟის, ქალი მთხრობელის პერსპექტივიდან;
- ორივეგან მოთხრობილი ამბავი პერსონაჟი გოგონას ბავშვობაში მოხდა, რამაც მათი შემდგომი ცხოვრება საფუძვლიანად შეცვალა;
- ორივე ნაწარმოებში მთხრობელი ქალი/გოგონა საკუთარ ოჯახზე, საკუთარ თავზე განიცდის დიქტატურის საშინელებას;
- ორივე ნაწარმოები ეხება ტოტალიტარიზმს;
- ორივე ნაწარმოებში ვხედავთ დიქტატორის სახეს;
- ორივე ნაწარმოებში ჩანს ტოტალიტარიზმის, სიყალბის, დიქტატურის მძაფრი კრიტიკა;

- ორივეგან დიქტატურა ნაციონალურ ნიშნებს შეიცავს, თუმცა აშკარაა, რომ ეს არის გლობალური ნიშნების მქონე დიქტატურა.

ზაირა არსენიშვილი (1933-2015) მწერალი და სცენარისტი, ქართული საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი კინოფილმების სცენარების ავტორია. წლების განმავლობაში მუშაობდა რეჟისორ ლანა ღოღობერიძესთან ერთად. მიღებული აქვს მრავალი პრემია. მათ შორის, 1980 წელს მიენიჭა სსრკ პრემია ფილმის, „რამდენიმე ინტერვიუ პირად საკითხებზე“, სცენარისათვის; 1983 წელს საქართველოს სახელმწიფო პრემია სცენარისათვის „დღეს ღამე უთენებია“; 1998 წელს მიიღო საქართველოს სახელმწიფო პრემია წიგნისათვის „რექვიემი ბანის, სოპრანოსა და შვიდი ინსტრუმენტისათვის“.

ზაირა არსენიშვილი რეპრესირებული ოჯახიდან იყო. მისი წინაპრები მონაწილეობდნენ 1924 წლის აჯანყებაში. მწერალი და სცენარისტი ზეპირ ისტორიებში იხსენებს თავისი ოჯახისა და იმ პერიოდის კახეთის თავად-აზნაურების ტრაგიკულ ამბებს.

რომანში, „ვა, სოფელო“, სწორედ პირადი გამოცდილების კვალს ვხედავთ. ეს არის საბჭოთა ტოტალიტარიზმის ეპოქა. მასობრივი ტერორისა და ურთულესი პოლიტიკური პროცესების ხანა, „საბჭოთა ადამიანის სტერეოტიპული სახე ძალიან მალე საყოველთაო გახდა საბჭოთა ხალხებისათვის: ძლიერი და მშრომელი გმირი გამოსახული იყო არა მხოლოდ ცენტრალური, არამედ ყველა პატარა ქალაქისა თუ სოფლის მოედანზე, კულტურის სახლში ჩამოკიდებულ პანოსა თუ უბრალოდ ავტოსადგურზე. ეს კი, ერთი მხრივ, ხელს უწყობდა საბჭოთა იდეოლოგიის განმტკიცებას, ხოლო, მეორე მხრივ, აყალიბებდა გარკვეულ სტერეოტიპებს, საიდანაც გადახვევა ბევრი საბჭოთა მოქალაქისათვის წარმოუდგენელი და შეუძლებელი იყო“ (პოპიაშვილი 2010, გვ. 90). ზაირა არსენიშვილი მხატვრულად ასახავს ეპოქის ტრაგიზმს. ბავშვის, გოგონას პერსპექტივიდან გადმოგვცემს ტოტალიტარიზმს კვაზისამართლიანობის, კვაზიღირებულებების, სისასტიკისა და დაუნდობლობის ჩვენებით. „უნდა აღინიშნოს, რომ “ვა, სოფელო” ქალური ხასიათების კონფლიქტზე აგებული რომანია. მამაკაცი პერსონაჟები ნაწარმოებში დატრიალებული ამბების მხოლოდ ფონს ქმნიან, თავად სტატიკურნი არიან და ბიძგს აძლევენ ქალებს, რათა იმოძრაონ, სრულად გამოხატონ თავიანთი შინაგანი სამყარო და საკუთარი სიმართლის დასამკვიდრებლად გაისარჯონ. სწორედ ამ

განსჯისას ჩნდება კონფლიქტები და ქალთა ტიპებს შორის განსხვავებაც უფრო მკაფიოდ და ხელშესახებად იკვეთება“ (ლობჟანიძე 2009).

რას ცვლის გოგონას, ქალის პერსპექტივა? რეალობის დრამატიზმს და დეტალებამდე განცდილ სისასტიკეს, თავისი სხვადასხვა ასპექტით და ფორმით, ინტენსივობითა და სიმძიმით. ზაირა არსენიშვილის მთავარ გმირს, გოგონას, მშობლების დახოცვის შედეგ მშობლიური სახლიდან გამოასახლებენ.

ქალის პერსპექტივიდან არის შექმნილი მარიო ვარგას ლიოსას „ვაცის ნადიმი“, სადაც რეჟიმი, სისტემა, გოგონას, ბავშვის ცხოვრებას სამშობლოში აუტანელს ხდის და იძულებულია, დევნას ემიგრაციაში გაექცეს.

“– თქვენ ბეტანკურიანი რომანი არ წაგიკითხავთ, არა, ხომ?

– ა-არა, ხომ... – ამბობს ხელმძღვანელი, მშვიდდება, – არა, ტყუილი რა საჭიროა... ნაწარმოებია ასეთი?

– ჰე! არის და... და არც ლიოსა? მარიო ვარგასი...

– ეეე... არა,

– და კორტასარი?

– მმუ... არა.

და უცებ კაცი ღონივრად ართმევს ხელს:

– მომილოცავს, მომილოცავს, ბედნიერი კაცი ყოფილხართ, ბედნიერი...

– რატომ?! – უკვირს ხელმძღვანელს.

– რატომ და ისეთი დიდი სიამოვნება გელით...

– რა სიამოვნებაა?

კაცი კი ამბობს:

– პირველად წაკითხვის”. გურამ დოჩანაშვილის ეს სიტყვები, მოთხრობიდან „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“, პერუელი მწერლის, მარიო ვარგას ლიოსას შემოქმედების სხარტი და მძაფრი შეფასებაა.

პერუელი მწერალი, მარიოს ვარგას ლიოსა (დაბად. 1936 წელს), მრავალი ლიტერატურული პრემიის ლაურეატია. 2010 წელს ლიოსას მიანიჭეს ნობელის პრემია „სიძლიერის სტრუქტურის მისეული შედგენისა და ინდივიდუალური წინააღმდეგობის, ამბოხისა და გამარჯვების მკვეთრი სურათებისთვის“. ლევან ბერძენიშვილი აღნიშნავს: „ეს არის კაცი, რომელსაც ნობელის პრემია ძალაუფლებისა და ძალადობის სტრუქტურის ცოდნისთვის მისცეს. დიქტატურის ასეთი აღწერა და საერთოდაც, ასეთი დიქტატურა ყველაზე შესაშური ძალით ამ კონტინენტმა აღწერა. ამ მხრივ სამხრეთ ამერიკას ვერავინ შეედრება“ (ბერძენიშვილი 2019). ეს განსაზღვრება სრულიად შეესაბამება ლიოსას ცნობილ რომანს, „ვაცის ნადიმი“. ეს არის დიდი წიგნი, დიდი როგორც მოცულობით, ისე ამბებით, ეპოქალური სათქმელით. ეს არის წიგნი პირად და გლობალურ ტკივილებსა და შიშებზე. ეს არის წიგნი, სადაც დიქტატურა მთელი თავისი სისასტიკით, წვრილმანებით, ათასი დეტალით, სხვადასხვა ადამიანის პოზიციიდან, სათქმელიდან იყურება. ეს არის დიქტატურის მხატვრული ასახვა, შიშისა და სისასტიკის მრავალფეროვანი და ფერადი სახეებით, თუკი სისასტიკე შეიძლება იყოს ფერადი. ეს არის წიგნი დიდ უბედურებაზე, რომელიც კაცობრიობას ატყდება თავს სხვადასხვა მხრიდან და სხვადასხვა ადგილზე, მაგრამ საერთო სახელი აქვს - დიქტატურა - და საერთო ფორმები. ლიტერატურა ისეთივე ტკბილ-მწარეა, როგორიც თავად ცხოვრება. ლიტერატურა არის ყველაზე მძიმე და საშინელი შურისძიება. ლიოსას "ვაცის ნადიმი" არის ლიტერატურული შურისძიება დიქტატურაზე.

მასობრივი ტერორი

დიქტატურის მარკერებს შორის აღსანიშნავია სისასტიკე, რომელიც მასობრივ შიშს წარმოშობს. „ვაცის ნადიმში“ ტრუხილიო სუფრასთან იხსენებს ათასობით ადამიანის ხოცვას. თემის ტრაგიზმს კი სრულიად ფარავს უადგილო და წარმოუდენელი მხიარულება, ხარხარი, ტრაგიკულობის არაბუნებრივი გაქარწყლება და მასხარად აგდება. „ - გენერალო არედონო, შენ ინდეპენდესიაში იყავი იმ დროს ყელების საღადრავად. რამდენი?

- ოცი ათასამდე, ბრწყინვალებავ, - უპასუხა მსუქანმა გენერალმა არედონდომ, რომელიც უნიფორმაში დატყვევებულს ჰგავდა, - მხოლოდ ინდეპენსიას ზონაში რამდენიმე ათასი იყო. - სენატორმა მოკრძალებული რიცხვი დაასახელა. მე იქ ვიყავი, ოცი ათასზე ნაკლები არ ყოფილა.

- შენ თავად რამდენი მოკალი? გაეხუმრა გენერალსიმუსი და სუფრას კიდევ ერთხელ ჩამოუარა სიცილის წრემ, სკამები და მაგიდის ფაიფური აზანზარდა“ (ლიოსა 2016, გვ. 251).

დიქტატორული პოლიტიკის ბერკეტი, დაშინება შიშის ფენომენის დახმარებით დუმილის, გაჩუმების მიღწევა იყო. გაჩუმება ყველაფერზე, რაც ირგვლივ ხდებოდა, რათა უსამართლობისა და ძალადობის ლეგიტიმაციას არაფერი შეწინააღმდეგებოდა. შიში, როგორც რეჟიმის ძირითადი იარაღი, ზაირა არსებიშვილის რომანის, „ვა სოფელო“, მთავარი თემაა. “ჭიანჭველა რომ შემოვიდეს ჩეკისტის ფორმით, გესმის, ჭიანჭველა, მღილი და არარაობა, უნდა თრთოდე და კანკალებდე, შესაძრომ კუნჭულს ეძებდე და მაინც ვერ დაიმალები, მაინც გიპოვიან და შამფურზე აგაგებენ, როგორც მე ამაგეს, გესმის, გესმიის!“ (არსენიშვილი 2019, გვ. 306), - ამბობს რომანის ერთ-ერთი პერსონაჟი, შეშლილი გიგო, ერთ დროს უნიჭიერესი მოსწავლე, გამორჩეული ახალგაზრდა, რომელიც სწორედ ამ რეჟიმმა გააგიჟა.

ტოტალიტარული რეჟიმის პროპაგანდისტული და პოლარიზებული გარემო ზეგავლენას ახდენს მილიონობით ადამიანზე, რომელთაც თავისუფლება თეორიულ ფორმულირებაშიც არ გაუაზრებიათ. დაშინება სრულიად გამორიცხავს რაციონალიზმსა და განსჯას. სისასტიკის ნორმირება ტოტალიტარულ გარემოში დუმილთან ერთად იწვევს სრულ დანებებას. ლიოსას გმირი ასე აღწერს ტოტალიტარული ქვეყნის მდგომარეობას: „ამდენმა მილიონმა ადამიანმა - პროპაგანდით გაბრუებულმა, ინფორმაციას მოწყვეტილმა, დოქტრინებით გასასტიკებულმა, იზოლირებულმა, თავისუფლებაწართმეულმა - ნებაყოფლობით და შესაძლოა, შიშის, მლიქვნელობისა და მორჩილების ცნობისმოყვარეობით შეპყრობილმა, ტრუხილიო გააღმერთა. არა მხოლოდ ეშინოდათ, უყვარდათ კიდეც როგორც ავტორიტარული მშობლები უყვართ შვილებს, საკუთარ თავს რომ არწმუნებენ, გაროზგვა და დასჯა ჩვენთვის სასიკეთოაო“ (ლიოსა 2016, გვ. 83).

პლაკატი, როგორც იდეოლოგიის რეპრეზენტაცია

მნიშვნელოვანია პლაკატების, როგორც იდეოლოგიის რეპრეზენტაციისა და ძირითადი მარკერების როლი დიქტატორულ ეპოქაში. ორსიტყვიანი და სამსიტყვიანი ტექსტები ვითარების გამძაფრებას, დაძაბულობას, სტრესულ და საშიშ სიტუაციას ქმნის. ტოტალიტარული პლაკატები პოლიტიკის კონცენტრირებული სახეა, სადაც ძალაუფლების როლი და მნიშვნელობა იკვეთება. „საბჭოთა პოლიტიკური პლაკატის ჩასახვა და ფორმირება მსოფლიოს ახალი ქვეყანა-წარმონაქმნის წერა-

კითხვის უცოდინარი მოსახლეობის არსებობის პირობებში ხდებოდა. საბჭოთა ხელისუფლება პოლიტიკური განათლების სფეროში უპირატესობას ანიჭებდა „თვალს“, რაც იმას ნიშნავდა, რომ მთელი შემოქმედებითი ძალისხმევა მიმართული იყო ვიზუალურ პროპაგანდაზე, რადგან ამ ტიპის თვალსაჩინოება ყველასთვის მისაწვდომი და მეტნაკლებად გასაგები უნდა ყოფილიყო“ (ტაბუცაძე 2019, გვ. 290). დიქტატორული რეჟიმის პერიოდის პლაკატის პროპაგანდისტულ აქცენტებზე დაკვირვებისას იკვეთება ორი მთავარი მიზანი: შიში და აღზრდა. მისი წამკითხველი, განურჩევლად ასაკისა და გამოცდილებისა, უნდა შეშინდეს და უნდა აღიზარდოს. მასობრივი პროპაგანდისათვის პლაკატი ძირითადი გზავნილია, მთავარი სათქმელი, „რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებდა დაწერილი ტექსტის გაგების აუცილებლობას, საშუალებას იძლეოდა, მოსახლეობის ფართო ფენამდე მიეტანა ბოლშევიკების სათქმელი“ (ბონელი 2019, ძალაუფლების იკონოგრაფია). ბოლშევიკების საერთო სათქმელი კი იყო კომუნისტური ბელადების ხოტბა და კომუნისტების მტრების დაგმობა.

ზაირა არსენიშვილის რომანში, „ვა სოფელო“, საბჭოთა პლაკატების ბავშვების პერსპექტივიდან გვაჩვენებს ტოტალიტარიზმს. ახალი რეალობა, ახალი იდეოლოგია, მასობრივი რეპრესიები და ტერორი საბავშვო ბაღშიც კი დასადგურებულა.

„ძირს ხალხის მტრები!“

„ძირს მავნებლები!“

კითხულობენ პლაკატებს საბავშვო ბაღის აღსაზრდელები, რადგან წერა-კითხვა ნაადრევად შეუსწავლიათ, მერე კი ჩუმდებიან. ისინი ბაღიდან კრებაზე მიჰყავთ, სადაც მათი მშობლები უნდა დაგმონ, როგორც ხალხის მტრები.

ზაირა არსენიშვილი ასე აღწერს ამ ეპიზოდს: „სხვა დროს გვეტყოდა ქსენია მასწავლებელი: ყოჩაღ ბავშვებოვო, ეხლა კი ჩაღუნავს თავს და კიბისკენ მივყავართ... შინელიანი კაცი მოვიდა და ზევით ადითო, აივანზეო... ჩუმად მივყვებით კიბეებს... აღარავინ არ კითხულობს პლაკატებს... თურმე ყველგან ყოფილა გაკრული... თვალს ვარიდებთ... მაგრამ ჩავმწკრივდით თუ არა აივნის პირველ რიგში და გადავხედე დარბაზს, თვალში შემეჩხირა სცენის თავზე გაკრული უზარმაზარი პლაკატი: „ძირს ტროცკისტი მავნებლები! ძირს იაპონიის დაქირავებული აგენტები! ძირს ხალხის მტრები!“ ... სცენა... გამოშიგნული... ცარიელი... ფარღალალა სივრცე... სადღაა შვინდისფერი ხავერდის ფარდა,

საგანგებოდ რომ განათდება და თითქოს თიმთიმებს, ღუის... მერე დიდი გონგი სამჯერ დაჰკრავს და ფარდა ნე;-ნელა იხსნება... ერთადერთი ნათურაა სცენაზე ჩამოკანკურებული, წითელი მაგიდა... ესე იგი, მართლა არ იქნება წარმოდგენა... არც ნაძვისხე, ვიღაც ამბობდა, წარმოდგენა თუ არა, ნაძვისხე იქნებაო... არავითარი ნაძისხე, აბა სად არის? აგერ, სამი კაცი გამოდის და მაგიდასთან ჯდება... ზარს აწკრიალებენ... სიჩუმე... შუა კაცი რაღაცას ლაპარაკობს... დიდი სიფხიზლე გვესაჭიროებაო, ამბობს... სახე გახევებული აქვს, მარტო პირს აღებს, ნისკარტივით... ხისგან გამოთლილს ჰგავს...“ (არსენიშვილი 2019, გვ 270-271). ნაწყვეტი სიტყვები, ფრაზები და წინადადებები მხატვრულად გადმოგვცემს ბავშვის, გოგონას პერსპექტივიდან აღქმულ რეალობას, რომელიც თანდათან კიდევ უფრო მძაფრი ხდება.

პლაკატურობა და დიქტატორული რეჟიმის ბელადის განდიდება ლიოსას „ვაცის ნადიმში“ გამოხატულია ირონიული პათეტიზმით. გენერალსიმუს ტრუხილიოს, დიქტატორსა და ბელადს, ლექსებს, ტექსტებს, პანეგირიკებს უძღვნიან, მის ხასიათს, შეუპოვრობას, დიდებულებას აქებენ და განადიდებენ, ღმერთს ადარებენ და უზენაესთან აიგივებენ. „ბრძოლაში გამოწრთობილი ნებისყოფა და ენერგია უბიძგებს რესპუბლიკას წინ იაროს თავისი სრულფასოვანი ბედისწერისკენ. ამ ზებუნებრივი ძალების მფარველობითა და კეთილქმედებით“, - წარმოთქვა ნახევრად თვალებდახუჭულმა ტრუხილიომ - „უფალი და ტრუხილიო: ამ სინთეზით შეიძლება აიხსნას ჯერ - ქვეყნის გადარჩენა და შემდეგ - დომინიკელთა დღევანდელი წარმატება“ (ლიოსა 2016, გვ. 338). თვალსაჩინოა ტრუხილიოს იდეალიზება. უზენაესთან გაერთიანება, მხსნელის, მესიის, დაუმარცხებლის სიმბოლური სახე დიქტატორის უზადო სრულყოფილების პორტრეტის შექმნას ემსახურება.

„ხალხის მტერი“

ზაირა არსენიშვილის „ვა, სოფელო“ მოგვითხრობს სახალხო სასამართლოზე, რომელსაც ერთი სოციუმის, ერთი გარემოს, ერთი სივრცის, პროვინციული ქალაქის წევრები უწყობენ „ხალხის მტერს“. სასამართლოს საბავშვო ბაღის აღსაზრდელები ესწრებიან, იმ ოჯახების შვილები, რომელთა მშობლებსაც ასამართლებენ და ბრალს სდებენ. „ძია გიგლა სცენაზე დგას წითელგადაფარებული მაგიდის ბოლოში, ფერმიხდილია ისეთი, ისეთი, მიცვალებულს ჰგავს. ხელში ქაღალდი უჭირავს და

თითქოს კითხულობს და არაფერი არ ისმის, არაფერი, ტუჩებს ამოძრავებს და არაფერი არ ისმის. ხისგან გამოთლილი რაღაცას ეუბნება შტევით, ძია გიგლა მხრებს აიწურავს, გეგონებათ შეიკუმშაო და უეცრად ლამის მჭექარე ხმით დაიწყებს კითხვას:

- ჩვენ დიად დროში ვცხოვრობთ... ოქტომბრის მონაპოვარი ჩირაღდანივით ანთია, თვალებს უბრმავებს გარეულ თუ შინაურ მტრებს, შემოპარულებს ჩვენს რიგებში... ჩვენ, ამხანაგებო, როგორც პარტიის ერთგული ჯარისკაცები, მუდამ ჩახმახზე შეყენებული უნდა ვიყოთ ხალხის მტრებისა და მავნებლების მიმართ...“ (არსენიშვილი 2019, გვ. 273).

მარიო ვარგას ლიოსას „ვაცის ნადიმში“ რომანის მთავარი გმირის, ურანია კაბრალის მამას, აგუსტინ კაბრალს, მეტსახელად „ჭკუის კოლოფს“, ჭკვიანსა და განსწავლულს, ქვეყნისა და რეჟიმის ერთგულ მსახურს, მოულოდნელად და დაუმსახურებლად ხალხის მტრად გამოაცხადებენ, რის შესახებაც ოჯახი ქვეყნის მთავარ გაზეთში გამოქვეყნებული ანონიმური წერილიდან იგებს. „ამ წერილს სამოქალაქო პასუხისმგებლობის გრძნობა მკარნახობს, მინდა წუხილი გამოვთქვა იმ ზიანის გამო, დომინიკელ მოქალაქეებსა და მათი გამოხატვის შეუზღუდავ თავისუფლებას რომ ადგება, რომლის გარანტიც ამ ქვეყანაში გენერალსიმუსია. იმას ვგულისხმობ, რომ აქამდე თქვენი პატივსაცემი გაზეთის გვერდებზე არასოდეს გამოქვეყნებულა ყველასთვის კარგად ცნობილი ფაქტი სენატორ აგუსტინ კაბრალის, მეტსახელად ჭკუის კოლოფის გამო (საინტერესოა, რა ღირსებების გამო შეარქვეს?), სენარის პრეზიდენტობიდან გათავისუფლების შესახებ საჯარო სამსახურის სამინისტროში არაკეთილსინდისიერი მართვის გამო. მოგეხსენებათ, ამ თანამდებობას იკავებდა სულ ცოტა ხნის წინ. ასევე ცნობილია, რომ საგამოძიებო კომისია რეჟიმისთვის დამახასიათებელი სკრუპულოზულობით სწავლობს თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ფაქტებსა და ხლართებს...

ნუთუ, ტრუხილიოს მიმდევარ ხალხს უფლება არ აქვს ინფორმირებული იყოს ასეთი მძიმე მოვლენების შესახებ?“ (ლიოსა 2016, გვ. 291).
მტრის ხატის შექმნა, რეპრესიები და დევნა დიქტატურის ერთ-ერთი მახასიათებელია.

დიქტატურა ლიტერატურული პერსპექტივიდან ასახავს სოციო-კულტურულ და ფსიქო-სოციალურ ასპექტებს, რომლებიც იქმნება შიშის დემონიზირებისა და იდეოლოგიური პროპაგანდის დახმარებით. ეპოქისა და რეჟიმის აღწერა, პერსონაჟების ცხოვრება და ქმედება მარკირებულია

მრავალი საერთო ნიშნით. მარიო ვარგას ლიოსასა და ზაირა არსენიშვილის რომანების მთავარი გმირები, გოგონები, იძულებითი მიგრაციით ცდილობენ გაექცნენ პირდაპირ დევნას. ერთ შემთხვევაში შიდა, მეორე შემთხვევაში კი - გარე მიგრაცია ერთსადაიმავე მიზანს ემსახურება - გადარჩენას. განხილული რომანები დიქტატურის მხატვრული ანატომიაა, სადაც ეს მოვლენა შიგნიდან, თვითმხილველისა და დამკვირვებლის პოზიციიდან არის აღწერილი. ნაციონალური და გლობალური ასპექტები დიქტატურას ერთ მთლიანობად წარმოაჩენს, სადაც ერთპიროვნული მმართველობა მასობრივი ტერორის, თავისუფალი აზრის განადგურების, იდეოლოგიზირებული პროპაგანდისა და ლიდერის უზენაესობის ტირაჟირებას ნიშნავს. გლობალურ ფონზე კი იკითხება ნაწარმოებების მთავარი გმირების პირადი ტრაგედიები, რომლებიც ასევე საერთო ნიშნებს შეიცავს, როგორებიც არის: მთხრობელის, მთავარი გმირის ტრაგედიებით აღსავსე ცხოვრების დემონსტრირება; დიქტატურის მახასიათებლები; დიქტატურის ნიშან-თვისებები და სხვა. დიქტატურა ლიტერატურული პერსპექტივიდან მნიშვნელოვანი დაკვირვებების წყაროა.

გამოყენებული ლიტერატურა:

Arendt, H., (1951), The Origins of Totalitarianism, New York, Schocken

Friedrich, C., Brzezinski Z., (1956), Totalitarian Dictatorship and Autocracy, Cambridge, Mass.: Harvard University Press

ბერძენიშვილი, ლ., (2019), მარიოს ვარგას ლიოსა - ჩვენი კაცი, ჟურნ. ლიბერალი, იანვარი, 2019 http://liberali.ge/articles/view/42677/levan-berdzenishvili-mario-vargas-liosa--chveni-katsi

ბონელი, ვ., (2019) ძალაუფლების იკონოგრაფია (საბჭოთა პოლიტიკური პლაკატები ლენინის და სტალინის დროს, CCU Press, თბილისი

ლობჟანიძე, გ., (2009), ტანჯვის გრდემლზე გამოკვერილი სიხარული, ჟურნ. არილი, ივნისი, http://arilimag.ge/%E1%83%96%E1%83%90%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%90-%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A8%E1%83%95%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%95%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%9D/

პოპიაშვილი, ნ., (2010) ქართული პოსტსაბჭოთა ლიტერატურა კულტურული იდენტობის დისკურსში, უნივერსალი, თბილისი

რატიანი, ი., (2010), დიალოგი თემაზე „ლიტერატურა და ტოტალიტარიზმი“, კრებულში: საერთაშორისო სამეცნეირო კონფერენციის, ტოტალიტარიზმი და ლიტერატურული დისკურსი, მე-20 საუკუნის გამოცდილება, მასალები, ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი

ტაბუცაძე, ს., (2019), პოლიტიკური თეატრის იკონოგრაფია, ჟურნალში „სჯანი“, თბილისი

წიფურია, ბ., (2010), ტოტალიტარული და ნაციონალური კულტურული მოდელები, როგორც ბინარული ოპოზიციები, კრებულში: საერთაშორისო სამეცნეირო კონფერენციის, ტოტალიტარიზმი და ლიტერატურული დისკურსი, მე-20 საუკუნის გამოცდილება, მასალები, ლიტერატურის ინსტიტუტი, თბილისი